თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 14 სექტემბრის დისტანციური სხდომის

**ო ქ მ ი N 4**

2021 წლის 14 სექტემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, გიორგი ქავთარაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე;** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **როგორ მიმდინარეობს 2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;**
2. **ინსტიტუტის განყოფილებების მიერ 2021 წელს გამოსაცემი კრებულების საკითხი;**
3. **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით - FR-17_144 (ხელმძღვანელი დავით ჭითანავა) გამოცემული წიგნის - „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“ (ავტორები: დ ჭითანავა, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია) შესაბამისობა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მიზნებთან და ამოცანებთან.**
4. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

**მოისმინეს:**

***1. როგორ მიმდინარეობს 2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.***

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** განყოფილებების გამგეებს გთხოვთ, მოგვახსენეთ როგორ მიმინარეობს 2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება თქვენ განყოფილებებში.

**ქეთევან ხუციშვილი**: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები მუშაობენ პროექტის მიხედვით დაგეგმილ წლიურ თემებზე, ქ-ნ ნინო მინდაძის ხელმძღვანელობით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში, თანამშრომელთა ჯგუფმა განახორციელა ექსპედიცია იმერეთის რეგიონში და მოიპოვა ახალი ეთნოლოგიური მასალა. დანარჩენები, აგრძელებენ თავიანთ წლიურ თემებზე მუშაობას. ასევე, მათ მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც წარადგინეს მოხსენებები წლიური ნაშრომების თემატიკაზეც. მუშაობა მიმდინარეობს სამეცნიერო სტატიებზე.

**ლევან გორდეზიანი**: ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში სამუშაო განწყობაა. ვფიქრობ, არ გვექნება პრობლემა დათქმულ დროს წარმოვადგინოთ დასრულებული წლიური ნაშრომები.

**ავთანდილ სონღულაშვილი**: ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები ინტენსიურად მუშაობენ. ჩვენი სამუშაოს თემატიკა რთულია, აუცილებელია არქივისა და ბიბლიოთეკის ინტენსიური მოხმარება, რაც პანდემიის გამო, გარკვეულწილად შეფერხა. ორი თანამშრომელი იყო ექსპედიციაში კახეთის რეგიონში სასაზღვრო თემატიკასთან დაკავშირებით. იმედი მაქვს წელს შევძლებთ დროულად შევასრულოთ დაგეგმილი სამუშაო. ვცდილობთ, გამოვაქვეყნოთ სტატიები, სადაც ასახული იქნება წლიური ნაშრომებიდან გარკვეული თემატიკა.

**ლიანა ბითაძე**: ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მიმდინარეობს წლიურ თემებზე მუშაობა. სამეცნიერო მუშაობის მხრივ, კარგი შედეგები გვაქვს. ლაბორატორიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციებში. გარდა ამისა, ვაქვეყნებთ სტატიებს. მონაწილეობა მივიღეთ არქეოლოგიურ გათხრებში.

**ლავრენტი ჯანიაშვილი**: სამწუხაროდ, ბატონმა როლანდ თოფჩიშვილმა ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ შეძლო ჩართვა და მე მოგაწვდით ინფორმაციას კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ. განყოფილება, წელს იყო ექსპედიციაში ზემო რაჭაში, ონის რაიონში. მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. საინტერესო მასალები მოვიპოვეთ პროექტით გათვალისწინებული წლიური თემების თემატიკასთან დაკავშირებით. განყოფილების თანამშრომლებმა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა. ვფიქრობთ, მიმდინარე წელს პროექტით დაგეგმილი სამუშაო შესრულდება.

**გიორგი ჭეიშვილი:** უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონმა ქეთევან ხუციშვილმა და მისმა ჯგუფმა, საკმაოდ დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება მოახერხა, რომელიც ქ-ნ ჯულიეტა რუხაძეს ეძღვნებოდა.

**მოისმინეს**:

*2. ინსტიტუტის განყოფილებების მიერ 2021 წელს გამოსაცემი კრებულების საკითხი.*

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** მიმდინარე წელსაც განყოფილებებს აქვთ საშუალება ინსტიტუტის დაფინანსებით გამოსცენ სამეცნიერო კრებულები. განყოფილებების გამგეებს გთხოვთ, მოგვახსენოთ, როგორ მიმდინარეობს მუშაობა კრებულების გამოსაცემად.

**ავთანდილ სონღულაშვილი:** წელს გამოვა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო კრებულის 25–ე ტომი. ვაგროვებთ მასალებს, ვეცნობით, რედაქტირებას ვუკეთებთ. კრებული გამოდის 2007 წლიდან სტატიების ავტორთა ხარჯით. ახლა აფინანსებს ინსტიტუტი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უფრო მკაცრად მოვეკიდოთ ნაშრომების შერჩევის საკითხს და უფრო მაღალი დონის სტატიები მივიღოთ დასაბეჭდად. სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოსთვის კრებული მზად იქნება გამოსაცემად. ნომერი მიეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს.

**ქეთევან ხუციშვილი**: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების კრებულს ვუძღვნით ქალბატონ ჯულიეტა რუხაძეს და შესაბამისად, მასში შესული იქნება კონფერენციის მასალები. სტატიები მიღებულია, მიმდინარეობს სარედაქციო სამუშაოები და კრებული მალე მზად იქნება გამოსაცემად.

**მარიამ ჩხარტიშვილი:** კრებულ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მორიგი ნომრისათვის მასალა შეგროვილია. დაწყებულია რედაქტირება. ვფიქრობთ, წლის ბოლოსთვის მზად იქნება გამოსაცემად.

**ლევან გორდეზიანი**: ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება, მოგეხსენებათ, მცირერიცხოვანია. ზოგადად, საქართველოში ძალიან ცოტა მეცნიერი მუშაობს ძველი აღმოსავლეთის თემატიკაზე; ასევე, გვაქვს მოთხოვნა ხარისხზე. ბოლო ხანებში კრებულში ვბეჭდავდით რომელიმე ჩატარებული კონფერენციის მასალებს, სხვანაირად მასალის შეკრება ვერ ხერხდება.

**ლავრენტი ჯანიაშვილი**: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების კრებული თითქმის მზად არის, მიმდინარეობს ბოლო სარედაქციო სამუშაოები. ამ კრებულში იბეჭდება აგრეთვე, ბატონ ვალერიან ვაშაკიძის ორგანიზებით, ინსტიტუტში მიმდინარე წელს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც რუსულ ენაზე იყო.

**ვალერიან ვაშაკიძე**: ინსტიტუტის ჟურნალ „ქრონოსის“ მეორე ნომერთან დაკავშირებით მოგაწვდით ინფორმაციას. დიდი მუშაობა გასწია ბატონმა ალექსანდრე თვარაძემ, ნომერი შეიკრა, უდიდესი მადლობა მინდა მოგახსენოთ ყველას რეცენზირებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ჩვენი კოლეგები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თითოეული სტატიის შეფასებას. უაღრესად ობიექტური, მკაცრი შეფასებები

წარმოადგინეს. ქართული ტექსტი უკვე რედაქტირებულია, ინგლისური ტექსტი გადაგზავნილია რედკოლეგიის წევრ ქალბატონ ნათია ჯალაბაძესთან, რომელიც აკეთებს რედაქტირებას. ოქტომბრის პირველ რიცხვებში კრებული მზად იქნება გამოსაცემად.

**მოისმინეს**:

*3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით - FR-17_144 (ხელმძღვანელი დავით ჭითანავა) გამოცემული წიგნის - „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“ (ავტორები: დ ჭითანავა, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია) 'შესაბამისობა პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მიზნებთან და ამოცანებთან.*

‘

**ლავრენტი ჯანიაშვილი**: მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს გამოიცა ნაშრომი - **„სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“** (ავტორები: დ ჭითანავა, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია), რომელსაც სჭირდება სამეცნიერო საბჭოს დასკვნა. წიგნი 506 გვერდიანია, შესრულებულია თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საგრანტო პროექტის - FR-17_144 („სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა" – პროექტის ხელმძღვანელი დავით ჭითანავა, კოორდინატორი ბეჟან ხორავა, ახალგაზრდა მეცნიერები: ქეთევან ციმინტია და იოსებ შენგელია), ფარგლებში. გამოცემული წიგნი სრულ შესაბამისობაშია სამეცნიერო სტანდარტებთან და პროექტით დაგეგმილ მიზნებთან და ამოცანებთან. (წიგნის რედაქტორები არიან: ლავრენტი ჯანიაშვილი და გონელი არახამია, რეცენზენტები: პაპუნა გაბისონია და ნოდარ შოშიტაშვილი). ამასთან, ვიდრე წიგნი გამოიცემოდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და ცალკეული წევრებისაგან იყო წინასწარი სიტყვიერი თანხმობა გამოცემაზე. კოლეგებო, შეგიძლიათ მოგვახსენოთ თქვენი აზრი ნაშრომთან დაკავშირებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, ლიანა ბითაძემ, ეკა კვაჭანტირაძემ, ნინო მინდაძემ და სხვა.

**ლავრენტი ჯანიაშვილი**: ვუყაროთ კენჭი, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი ნაშრომი - „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“ საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**მომხრე - 16 წინააღმდეგი – 0.**

**დაადგინეს:** შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - **„სამეგრელოს**

**სოფელი ძველად და ახლა"** (FR-17_144, ხელმძღვანელი დავით ჭითანავა) ფარგლებში გამოცემული ამავე სახელწოდების წიგნი (ავტორები: დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმინტია და იოსებ შენგელია) სრულ შესაბამისობაშია საგრანტო პროექტით დაგეგმილ მიზნებთან და ამოცანებთან.

**მოისმინეს**:

*4. მიმდინარე საკითხები.*

**გიორგი ჭეიშვილი:** მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თსუ-ში შემავალ რვა ინსტიტუტს, ე. წ. სარემონტო სამუშაოებისათვის, გამოუყო თანხა; ჩვენ ინსტიტუტს - 40 000 ლარის ოდენობით. ამ თანხით შევძლებთ უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ ახალ ფართზე ავაშენოთ შენობა, სადაც ძირითადად, ანთროპოლოგიური მასალა განთავსდება.

დიდ მადლობას მოგახსენებთ განყოფილებების გამგეებსა და თითოეულ თანამშრომელს წარმატებული მუშაობისათვის.

**სხდომამ დაადგინა:**

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - **„სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა"** (FR-17_144, ხელმძღვანელი დავით ჭითანავა) ფარგლებში გამოცემული ამავე სახელწოდების წიგნი (ავტორები: დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმინტია და იოსებ შენგელია) სრულ შესაბამისობაშია საგრანტო პროექტით დაგეგმილ მიზნებთან და ამოცანებთან.

**სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:** **ლავრენტი ჯანიაშვილი**

**სამეცნიერო საბჭოს მდივანი:** **ლიანა ბითაძე**

14. 09. 2021